ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#2

26 თებერვალი2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გიორგი რობაქიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
ფრიდონ მაჩიტაძე
მურად ბურჯანაძე
გაბრიელ ღიბრაძე
თემურ მინაძე
მამუკა გორგოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სივრცითი და ტერიტორიული დაგეგმვის საკითხებში: ბონდო ხარაბაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: მირიან ფულარიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი: მანაველ კვირიკაშილი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. მირიან ფულარიანი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიიის ანგარიში 2019წელს გაწეული მუშაობის შესახებ

   მომხს. სიმონ ჭოლოკავა

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა: მირიან ფულარიანმა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: მირიან ფულარიანმა განაცხადა, რომ დავარეგისტრირეთ ეს მიწის ნაკვეთი და ახლა ვითხოვთ თანხმობას, რომ გადავცეთ სარგებლობის უფლებით საპატრიარქოს

კომისიის წევრი: გიორგი რობაქიძემ კითხვით მიმართა მირიან ფულარიანს სარგებლობის უფლებით გადაცემა რას ნიშნავს ე.ი ჩუქება გამოდის, რატომ მიწის მოცვლას არ ითხოვენ რამოდენიმე წლების წინ გადაცემული მიწის ნაკვეთი დაბრუნდეს

კომისიის წევრი: გაბრიელ ღიბრაძემ განაცხადა, რომ ამ მიწის ნაკვეთს აქვს თავისი გზა და ტაძრის პროექტი არის

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა უჯობესია, შევხვდეთ მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით და შეგვედგინა შესაბამისი კრების ოქმი და დაგვედგინა, რომ მოსახლეობა თანახმაა ამ საკითხზე მიწის გადაცემასთან დაკავშირებით

კომისიის წევრი: გიორგი რობაქიძემ განაცხდა, რომ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რომ მიწის გადაცემა მოხდეს ვინაიდან ეს ადგილი სოფლის ცენტრია და სტრატეგიული ადგილია ბიუროს სხდომაზე გავიდეს საკითხი კი ბატონო, მაგრამ მიწის გადაცემის წინააღმდეგი ვარ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილმა განაცხადა, რომ უნდა განისაზღვროს სოფელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ტაძრის შენებაში და აუცილებელია სოფლის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, საკითხი გატანილ იქნას შემდგომი განხილვისათვის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, საკითხი გატანილ იქნას შემდგომი განხილვისათვის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ანგარიში 2019წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ანგარიში 2019წელს გაწეული მუშაობის შესახებ გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ანგარიში 2019წელს გაწეული მუშაობის შესახებ გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა